საქართველოს მთავრობის

განკარგულება №975

2020 წლის 15 ივნისი

ქ. თბილისი

კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID- 19) ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა სარეკომენდაციო ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 31 მაისის განკარგულება №1030 – ვებგვერდი, 05.06.2023წ.

1. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა სარეკომენდაციო ნუსხა და ჩატარების წესი“.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 31 მაისის განკარგულება №1030 – ვებგვერდი, 05.06.2023წ.

2. (ამოღებულია - 31.05.2023, №1030).
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 31 მაისის განკარგულება №1030 – ვებგვერდი, 05.06.2023წ.

3. ამ განკარგულებით განსაზღვრული:

ა) სერვისების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირი და ამ განკარგულების №1 დანართის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები, „უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №387 განკარგულებით განსაზღვრული პირები;

ბ) პირების ტესტირებისთვის/თვითტესტირებისთვის საჭირო ტესტებით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შესყიდული და/ან დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული ანტიგენზე დაფუძნებული სწრაფი-მარტივი ტესტ-სისტემები) სერვისების მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებების მომარაგება განხორციელდება უსასყიდლოდ;

გ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკის სერვისების მიმწოდებლები არიან სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმწოდებლებად დარეგისტრირებული დაწესებულებები;

დ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკის სერვისის ახალი მიმწოდებლების რეგისტრაცია და ამ განკარგულებით განსაზღვრულ პირთა ტესტირებისთვის/ თვითტესტირებისთვის ტესტ-სისტემების ხარჯვის შესახებ ინფორმაციის წარდგენა მიმწოდებელი დაწესებულების მიერ განხორციელდეს ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმისა და მათი შევსების წესის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 31 მაისის განკარგულება №1030 – ვებგვერდი, 05.06.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 იანვრის განკარგულება №157 – ვებგვერდი, 27.03.2024წ.

4. ტესტირებას დაქვემდებარებული სხვა დამატებითი ჯგუფების ჩამონათვალი, ასევე ამ განკარგულებით განსაზღვრული ჯგუფების ტესტირების მექანიზმი, პერიოდულობა, ჯერადობა, მონაცემთა აღრიცხვის წარმოება და სხვა პირობები, რაც არ არის დადგენილი ამ განკარგულებით, განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

5. (ამოღებულია - 31.05.2023, №1030).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი №1

კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა სარეკომენდაციო ნუსხა და ჩატარების წესი

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 31 მაისის განკარგულება №1030 – ვებგვერდი, 05.06.2023წ.

1. კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირებს განეკუთვნებიან:

ა) შემთხვევის სტანდარტული განმარტებით მოცული პირები;

ბ) ტუბერკულოზზე დადასტურებული ახალი შემთხვევა;

გ) სამედიცინო პერსონალი, რომელიც რეგისტრირებულია თავად სამედიცინო დაწესებულებების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მონაცემთა ბაზებში და მითითებული აქვს შესაბამისი კატეგორია, მათ შორის:

გ.ა) სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი;

გ.ბ) ეპიდემიოლოგები;

გ.გ) სტომატოლოგიურ დაწესებულებებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი;

გ.დ) სხვა ტიპის დაწესებულებებში დასაქმებული სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო პერსონალი, სოფლის ექიმისა და ექთნის ჩათვლით;

დ) ხანდაზმულთა და შშმ პირთა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 24-საათიანი სტრუქტურული ერთეულების – ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში (ე. წ. თავშესაფრებში):

დ.ა) ჩასარიცხი/განსათავსებელი ბენეფიციარები დაწესებულებაში მოთავსებამდე;

დ.ბ) მომსახურებიდან დროებით გასული/გაყვანილი ბენეფიციარები დაბრუნების დროს;

დ.გ) დაწესებულების მომსახურე პერსონალი;

ე) დიალიზზე მყოფი პაციენტები ყოველი სეანსის წინ;

ვ) სამხედრო სავალდებულო და საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში გასაწვევი და აქტიურ რეზერვში მისაღები პირები, ასევე სამშვიდობო მისიაში ან გადასროლისწინა სწავლებაში მონაწილე პერსონალი და ქვეყნის ფარგლებს გარეთ სწავლებაში წარსაგზავნი პირები (იმ ქვეყნებში, სადაც ტესტირების ჩატარება სავალდებულოა);

ზ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის:

ზ.ა) მომსახურე პერსონალი;

ზ.ბ) საკარანტინე სივრცეებში განთავსებული ბრალდებულები/მსჯავრდებულები საცხოვრებელ საკნებში შესახლებამდე;

ზ.გ) სპეციალური პენიტენციური დაწესებულების საკარანტინე სივრცეებში განთავსებული ბრალდებულები/მსჯავრდებულები და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების პერსონალი, აგრეთვე ბრალდებულები/მსჯავრდებულები, აღნიშნული დაწესებულების კარანტინზე გადაყვანის შემთხვევაში;

ზ.დ) პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულები/მსჯავრდებულები ერთი პენიტენციური დაწესებულებიდან სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანამდე;

თ) (ამოღებულია - 31.05.2023, №1030);

ი) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად;

კ) სტაციონარულ (მათ შორის, დღის სტაციონარსა და ემერჯენსში) დაწესებულებაში ჰოსპიტალიზებული პაციენტები და მათი თავმდგომი პირი, სიმპტომების მიუხედავად;

ლ) (ამოღებულია - 31.05.2023, №1030);

მ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიმღებსა და დროებითი განთავსების ცენტრებში:

მ.ა) მოსათავსებელი უცხოელები – მოთავსებამდე;

მ.ბ) მომსახურე პერსონალი;

მ.გ) მოთავსებული პირი, საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას;

ნ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოსათავსებელი/მოთავსებული პირები;

ო) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის მაღალი თანამდებობის სამხედრო მოსამსახურეები, ქვეყნის მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები, დიპლომატიური კორპუსის (მათ შორის, უცხო ქვეყნის დიპლომატები) წარმომადგენლები, ასევე ჩამოთვლილ პირებთან მომუშავე და დამხმარე პერსონალი;

პ) (ამოღებულია - 31.05.2023, №1030);

ჟ) (ამოღებულია - 31.05.2023, №1030);

რ) (ამოღებულია - 14.06.2022, №1072).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 31 მაისის განკარგულება №1030 – ვებგვერდი, 05.06.2023წ.

2. ამ წესის პირველი პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირები, განკარგულებით დადგენილი პერიოდულობით, ასევე „გ“ ქვეპუნქტითა და „დ“ ქვეპუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები, საჭიროების შემთხვევაში, ტესტირებას ექვემდებარებიან თვითტესტირების რეჟიმით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 31 მაისის განკარგულება №1030 – ვებგვერდი, 05.06.2023წ.

3. ამ წესის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით, „მ“ ქვეპუნქტის „მ.ბ“ და „მ.გ“ ქვეპუნქტებით, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირები ტესტირებას ექვემდებარებიან საჭიროების შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 31 მაისის განკარგულება №1030 – ვებგვერდი, 05.06.2023წ.

3^1. ამ წესის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის „მ.ბ“ და „მ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების პჯრ მეთოდით ტესტირება, საჭიროების შესაბამისად, განხორციელდეს სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრში.

4. ამ წესის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „კ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პრიორიტეტული პირების ტესტირება ხორციელდება ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 31 მაისის განკარგულება №1030 – ვებგვერდი, 05.06.2023წ.

5. ამ წესის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „ი“, „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პრიორიტეტული პირების ტესტირება ხორციელდება საჭიროების შესაბამისად, ანტიგენის სწრაფი ტესტით ან პჯრ მეთოდით.

6. ეპიდზედამხედველობის მიზნებისთვის, ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს პჯრ ტესტირებას და სხვა მაღალტექნოლოგიურ კვლევებს, ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

7. ამ წესის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალსა და ეროვნულ ცენტრს მიეცეთ უფლება, აწარმოონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის მაღალი თანამდებობის სამხედრო მოსამსახურეების, ქვეყნის მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა, დიპლომატიური კორპუსის (მათ შორის, უცხო ქვეყნის დიპლომატები) წარმომადგენლების, მათთან მომუშავე და დამხმარე პერსონალის ტესტირება, განსაზღვრონ ტესტირების პერიოდულობა და სახეობა ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე.

დანართი №2

(ამოღებულია - 02.12.2020,№2345)